View in browser

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება




ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

# იცოდით, რომ

- გერმანიის ინდუსტრიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი "სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)" გერმანელ ექსპერტებს აგზავნის გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომპანიებში კონსულტირებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- DWV 2013 წლიდან არის SES-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევის ორგანიზებასა და კოორდინირებას.
- მოწვეული ექსპერტები უზრუნველყოფენ როგორც პროფესიული კადრების გადამზადებას, ასევე, პროდუქტების, სერვისებისა და პროცესების ოპტიმიზაციას.
- ექსპერტები მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და მომსახურების სექტორებს, რომელთა შორისაც არიან სოციალური, სამედიცინო ინსტიტუტები და პროფესიული სასწავლებლები.

გერმანელი ექსპერტების მოწვევასთან დაკავშირებით დამატებითი

ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქ-ნ მარია ბრეგაძეს ელ-ფოსტაზე:
maria.bregadze@dwv.ge

გახდი წევრი

# ახალი წევრი

MOORE

**შპს** Moore ABC არის გლობალური ქსელის ნაწილი, რომელსაც 115 წელზე მეტი ისტორია აქვს. იგი აერთიანებს გამოცდილებას, პროფესიულ ცოდნასა და საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას 115-ზე მეტ ქვეყანაში და სთავაზობს მომსახურებას აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის, საგადასახადო და ბიზნესსაკონსულტაციო მიმართულებებით. საქართველოში კომპანია ათ წამყვან აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიას შორისაა და ემსახურება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კლიენტებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანების პროფესიულ განვითარებას და შექმნას წარმატების შესაძლებლობები კლიენტებისთვის, თანამშრომლებისთვისა და იმ საზოგადოებებისთვის, სადაც კომპანია საქმიანობს.

3 ივნისი 2026 | სასტუმრო Pullman Tbilisi Axis Towers, ჭავჭავაძის გამზ. 37მ, 0179 თბილისი
Expert Talk: **ხელოვნური ინტელექტი** / Artificial Intelligence (AI)

concentrix Sponsoren ORIENT LOGIC

17 ივნისი 2026 | სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure, პ. მელიქიშვილის ქ. 10, თბილისი 0179
Get Together

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

---

# ჩატარებული ღონისძიებები



2026 წლის მაისში DWV-მ ჩაატარა:

- ტრადიციული Get Together სასტუმრო ibis Styles Tbilisi Center-ში
- Webinar SmartCLM-თან ერთად
- **გერმანიის ელჩის გამოსამშვიდობებელი საღამო** სასტუმრო The Biltmore Tbilisi-ში

- **სემინარი** გრანთ თორნთონთან ერთად სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure-ში

# შეთავაზება ჩვენი წევრებისთვის

**ექსკლუზიურად** DWV-**ს წევრებისთვის** 10%-**იანი ფასდაკლება თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის საბავშვო საზაფხულო ბანაკზე**!

ორკვირიანი ბანაკი განკუთვნილია 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ გერმანული ენის საბაზისო ცოდნა. პროგრამა მოიცავს:

- შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებს
- გერმანული ენის გაკვეთილებს
- წასახემსებელსა და სადილს
- საინტერესო ექსკურსიებს

რეგისტრაცია: https://shorturl.at/3dDt2




ZIGIE-**ის პროდუქციის შეკვეთა ამიერიდან ონლაინაც არის შესაძლებელი**!

- მაღალი ხარისხის ტექნიკისა და საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ფართო არჩევანი
- პრემიუმ ბრენდების პროდუქცია, მათ შორის Miele, Liebherr და K-array

საჭიროების შემთხვევაში, ZIGIE ასევე გთავაზობთ პროფესიონალურ კონსულტაციას შესაბამისი არჩევანის გასაკეთებლად.

შესაძლებელია უფასო მიწოდება.

დამატებითი ინფორმაციისთვის ან ონლაინ შესაკვეთად ეწვიეთ ამ ბმულს:
https://zigie.ge/

# წევრების სიახლეები

**საქართველოს ბანკი** 2026 წლის Global Finance Awards-ზე ხელოვნური ინტელექტის სფეროში ინოვაციებისათვის დაჯილდოვდა. მისი 2020 წელს დაარსებული AI კვლევითი ლაბორატორია ფინანსურ სექტორში ერთ-ერთ წამყვან ინოვაციურ ცენტრად იქნა აღიარებული. ამასთან, ბანკი რეგიონულ ინოვატორად დასახელდა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (Gen AI) დანერგვისთვის.

Silk Hospitality-**ის** ორი სასტუმრო დაჯილდოვდა MICHELIN Key Awards 2025-ის ფარგლებში MICHELIN Guide-ის მიერ. The Telegraph Hotel-მა მიიღო ორი MICHELIN Key, ხოლო Tsinandali Estate დაჯილდოვდა ერთი MICHELIN Key-ით.

**ნექსია საქართვეო**, Moore ABC და **გრანთ თორნთონ** წამყვან აუდიტორულ კომპანიებს შორის არიან. საქართველოს აუდიტორული სექტორი 2025 წელს 7%-ით გაიზარდა და 72 მლნ ლარს გადააჭარბა. მონაცემები აჩვენებს ბაზარზე სტაბილურ მოთხოვნასა და ძლიერ საერთაშორისო მიმართულებას.

Falling Walls Lab 2026 წელს თბილისში გაიმართება, სადაც სტუდენტებს, მკვლევრებსა და ახალგაზრდა პროფესიონალებს საქართველოდან შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მონაწილეობა. საუკეთესო იდეა, რომელიც მოწვეული ჟიურის მიერ აღიარებული იქნება, როგორც მეცნიერებასა და საზოგადოებაზე დადებითი ზემოქმედების მქონე, მოიპოვებს Falling Walls Science Summit 2026-ის გლობალურ ფინალში მონაწილეობის შესაძლებლობას, რომელიც ნოემბერში ბერლინში გაიმართება.

**თიბისი ბანკი** საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი და ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული ნუშის პლანტაციის პარტნიორია. კახეთში გაშენებული პლანტაცია 320 ჰექტარზეა განთავსებული, პროექტს ახორციელებს Magharo Capital.

**ორიენტ ლოჯიკმა** მონაწილეობა მიიღო GITEX AI Central Asia & Caucasus Forum-ში, სადაც საკუთარი კიბერუსაფრთხოების სერვისები წარადგინა. GITEX AI წარმოადგენს რეგიონზე ორიენტირებულ ტექნოლოგიურ ღონისძიებას და ცენტრალური აზიისა და კავკასიის ტექნოლოგიური ეკოსისტემის მნიშვნელოვან პლატფორმას.

**გრანთ თორნთონმა** და National Tourism Awards-მა პარტნიორობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ჯილდო 2015 წლიდან აღიარებს ხარისხს, ინოვაციასა და განსაკუთრებულ მიღწევებს საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში.

**თიბისი ბანკი** საქართველოს ეროვნული ხელოვნური ინტელექტის ოლიმპიადის მთავარი სპონსორია. ოლიმპიადის მიზანია ქართველი მოსწავლეების ტექნოლოგიური განათლების ხელშეწყობა და ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო შესაძლებლობების გახსნის მნიშვნელობის ხაზგასმა.

**საქართველოს ბანკი** პარტნიორობას უწევს აქსელერატორ პროგრამას „500 Eurasia“, რომელიც ტექნოლოგიურ სტარტაპებს ზრდასა და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლაში ეხმარება. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების

სააგენტოსთან ერთად, ინიციატივა უზრუნველყოფს წვდომას ინვესტორებზე, მენტორებზე, კონსულტაციებსა და გლობალურ ქსელზე.

**საქართველოს ბანკი** საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტებისთვის საზაფხულო სტაჟირების პროგრამას აცხადებს. სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ უნივერსიტეტში სწავლობენ, სტაჟირების ფარგლებში შესაძლებლობა ექნებათ, პრაქტიკული გამოცდილება ქვეყნის წამყვან ფინანსურ კომპანიაში მიიღონ.

**ნექსია საქართველო** რვა სხვა კომპანიასთან ერთად International Accounting Awards 2026-ის ფინალშია, სადაც ის ერთადერთი კომპანიაა საქართველოდან და ქვეყანას მსოფლიოს წამყვანი კომპანიების გვერდით წარადგენს. International Accounting Awards აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსს წარმოადგენს.

Insta-**მ** შვილობილი კომპანიის, Delight-**ის** მეშვეობით, ქართველი არქიტექტორებისა და დიზაინერებისთვის გერმანიაში, JUNG-ში პროფესიული ვიზიტი ორგანიზება გაუწია. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია წარმოების პროცესების, ავტომატიზაციისა და ხარისხის კონტროლის შესახებ. ვიზიტმა ხელი შეუწყო ცოდნის გაზიარებასა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ქართულ ბაზარზე.

**[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)**

---

# ეკონომიკის სიახლეები

საქართველოს პერსპექტივები ელექტროენერგიით ვაჭრობის მიმართულებით იმედისმომცემად გამოიყურება. ქვეყანას უკვე აქვს განახლებადი ენერგიის წარმოების **ყველაზე მაღალი წილი კავკასიაში**. მომდევნო წლების პროგნოზის მიხედვით, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება 2035 წლამდე წლიური 3.4%-**იანი ზრდის ტემპით** 20.0 **ტერავატსაათს მიაღწევს**. ამჟამად საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება 14.9 **ტერავატსაათს** შეადგენს.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდას ძირითადად ეკონომიკური აქტივობის ზრდა და ელექტრიფიკაცია განაპირობებს. თუმცა, ენერგიის წარმოების გაფართოებისთვის საჭიროა 5.5 **მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია** როგორც ელექტროენერგიის წარმოების ობიექტებში, ისე ქსელის განვითარებაში.

ენერგიის წარმოების ძლიერი ზრდის მისაღწევად აუცილებელია განახლებადი ენერგიების განვითარებაც. ბოლო 20 წლის განმავლობაში განახლებადი ენერგიის წარმოების ობიექტების 94% სახელმწიფო მხარდაჭერის დახმარებით აშენდა.

სახელმწიფოს შემდგომი მხარდაჭერის პირობებში, საქართველო შეიძლება ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორი გახდეს. **თურქეთთან ერთად**, **რომელიც ტრადიციულად ქვეყნის ყველაზე ძლიერი საექსპორტო ბაზარია**, **ევროპაც გახდება ელექტროენერგიით ვაჭრობის პარტნიორი დაგეგმილი შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მეშვეობით**.

**გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება**
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ
ქვემოთ მითითებულ ბმულს.